

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დადგენილება № 2

31 ივლისი 2012 წელი

ქ. ბათუმი

**კომპიუტერული უზრუნველყოფის
დროებითი სამსახურის შექმნის შესახებ**

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის და უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. შეიქმნას კომპიუტერული უზრუნველყოფის დროებითი სამსახური.

მუხლი 2. კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური:

- ა) უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის შეუფერხებელ მუშაობას;
- ბ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის მუშაობის გამართულობას არჩევნების პერიოდში;
- გ) ქმნის და ახორციელებს შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას და ავრცელებს უსკოს აპარატში;
- დ) ასრულებს კომპიუტერული ტექნიკის მიმდინარე სარემონტო-პროფილაქტიკურ სამუშაოებს;
- ე) სხვა სამსახურებთან ერთად უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვებას და კომპიუტერულ დამუშავებას;
- ვ) ქმნის კომისიისათვის საჭირო სხვადასხვა მონაცემთა ბაზებს, ახდენს არსებულ მონაცემთა ბაზების, კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებას და საჭიროების შემთხვევაში მათ მოდიფიცირებას;
- ზ) უზრუნველყოფს კომპიუტერული ქსელის უსაფრთხოებას;

თ) ახორციელებს კომპიუტერული სისტემის კოორდინაციასა და ფუნქციონალურ უზრუნველყოფას;

ი) ახორციელებს პროგრამულ უზრუნველყოფას და შესაბამისი წინადადების მომზადებას პროგრამული უზრუნველყოფის გაუმჯობესების თაობაზე;

კ) უზრუნველყოფს კომისიისათვის საჭირო მასალების სისტემატიზირებასა და შენახვას;

ლ) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებსა და განცხადებებზე და წარუდგენს უსკოს თავმჯდომარეს;

მ) კონსულტაციას უწევს კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებსა და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს კომპიუტერული ტექნიკისა და თანამედროვე პროგრამული საშუალებების ეფექტურად გამოყენების მიზნით;

ნ) უზრუნველყოფს ამომრჩეველთა პირადი ნომრებისა და სხვა საიდუმლო ინფორმაციის დაცვას;

ო) ახორციელებს საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების და ნიმუშების კომპიუტერულ დამუშავებას;

პ) კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახური თავის უფლებამოსილების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით საქართველოს საარჩევნო კოდექსით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით, უმაღლესი საარჩევნო კომისიის რეგლამენტით, სამუშაო აღწერილობითა (ინსტრუქციით) და შინაგანაწესით, საქართველოს სხვა კანონებითა და სამართლებრივი აქტებით;

ჟ) უზრუნველყოფს უსკოს ვებ-გვერდის სისტემატიურ განახლებას;

რ) ასრულებს სხვა მოვალეობებს.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის სასაქალაქო სასამართლოში (მისამართი ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. #30) მისი გამოქვეყნებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ამ დადგენილების პირველი და მე-2 მუხლები ამოქმედდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2012 წლის არჩევნების დანიშვნის დღიდან და მათი მოქმედება ვადა განისაზღვროს სამი თვის ვადით.

მუხლი 5. ეს დადგენილება ამოქმედდეს მისი გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

ა. მიქელაძე

კომისიის მდივანი

ქ. ჯიქია